შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ზოგადი უნარების ტესტი

III ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი - ვერბალური და მათემატიკური - ნაწილისგან.

თითოეული ნაწილი 40 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 35 წუთი.

ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აიჩიეთ პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

გისურვებთ წარმატებას!

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შევუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

1. <u>ალერგია : მგრძნობიარე</u> <u>იმუნიტეტი :</u>

(ა) ვირუსული

(ბ) გადამდები

(გ) ინფექციური

(დ) შეძენილი

(ე) შეუვალი

2. <u>აკადემიური ხარისხი : კვალიფიკაცია</u> <u>ალიბი :</u>

(ა) სამართალი

(ბ) გამოძიება

(გ) სასჯელი

(დ) ამნისტია

(ე) უდანაშაულობა

3. <u>ემოცია : სახის გამომეტყველება</u> <u>დაავადება :</u>

(ა) დიაგნოზი

(ბ) ანამნეზი

(გ) სიმპტომი

(დ) პრევენცია

(ე) ორგანიზმი

4. <u>უტრირება : გაზვიადება</u>

<u>რეკლამირება :</u>

(ა) რეალიზება

(ბ) გავრცელება

(გ) პრეზენტაცია

(დ) კონკურენცია

(ე) პოპულარიზაცია

5. <u>პერსპექტივა : შორი</u>

<u>ფოლკლორი :</u>

(ა) მუსიკალური

(ბ) ზეპირსიტყვიერი

(გ) ზღაპრული

(დ) ფანტასტიკური

(ე) პოეტური

6. <u>ომბუდსმენი : უფლებების დარღვევა</u> <u>ადვოკატი :</u>

(ა) ბრალდებულის დაცვა

(ბ) სამხილის მოპოვება

(გ) ალიბის გამოყენება

(დ) ბრალის წაყენება

(ე) კანონის დაცვა

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

7. მარტივი კონცეფციები ------ მკვიდრდება საზოგადოებაში. მართლაც, ------ ყოველთვის ------ , ვიდრე ------ .

(ა) ადვილად ვერ / მარტივი და, ამასთან, ბუნდოვანი წარმოდგენები / უფრო ადვილად ვრცელდება / რთული, თუნდაც ჭეშმარიტი იდეები

(ბ) ადვილად ვერ / რთული, თუნდაც ჭეშმარიტი იდეა / უფრო ძნელად მოიპოვებს აღიარებას / მარტივი, თუნდაც აშკარად მცდარი წარმოდგენა

(გ) შედარებით იოლად / რთულ და, ამასთან, ბუნდოვან წარმოდგენებს / მეტი მომხრე გამოუჩნდება / ჭეშმარიტ, მაგრამ მარტივ იდეებს

(დ) შედარებით იოლად / მარტივ, თუნდაც მცდარ იდეას / მეტი მომხრე გამოუჩნდება / ჭეშმარიტ, მაგრამ რთულ წარმოდგენებს

8. წარსულში ხელოვნება ელიტური იყო – ბახი და ბეთჰოვენი ------ ; ისინი მფარველების, არისტოკრატებისა და სამეფო კარისთვის წერდნენ მუსიკას. ამ მოდელის დემოკრატიული ვერსია გვაქვს თანამედროვე ხელოვნებაში – კონკრეტული ხელოვანის შემოქმედება ------ ინტერესების მქონე ------ განკუთვნილი, მაგრამ ინტერესებით ------ არსებობს და ხელოვნებაც, მთლიანობაში, ------ მრავალფეროვანია.

(ა) მხოლოდ მასებისთვის როდი თხზავდნენ / განსაზღვრული / კონკრეტული ჯგუფისთვისაა / განსხვავებული ჯგუფები თითქმის აღარ / უაღრესად

(ბ) თხზავდნენ მხოლოდ ელიტისთვის / ახლა სულ სხვადასხვაგვარი / ჯგუფებისთვისაა / განსხვავებული უამრავი ჯგუფი / ნაკლებად

(გ) არ თხზავდნენ მასებისთვის / ისევ განსაზღვრული / კონკრეტული ჯგუფისთვისაა / განსხვავებული უამრავი ჯგუფი / უაღრესად

(დ) მხოლოდ ელიტისთვის როდი თხზავდნენ / ისევ სულ სხვადასხვაგვარი / ჯგუფებისთვისაა / ერთმანეთის მსგავსი ჯგუფები თითქმის აღარ / ნაკლებად

9. ------ ინტელექტის ტესტში მიღებული ქულა ------ ასახავს ადამიანის შემეცნებით შესაძლებლობებს, ფსიქოლოგებისა და განათლების სპეციალისტებისთვის ის ------ , რადგან სკოლაში, სამსახურსა თუ ცხოვრების სხვა სფეროში ადამიანის მომავალი წარმატების პროგნოზირების ------ იძლევა.

(ა) მიუხედავად იმისა, რომ / სრულად ვერ / მაინც ინფორმაციულია / შესაძლებლობას

(ბ) ვინაიდან / სრულად / არ არის ინფორმაციული / შესაძლებლობას არ

(გ) მიუხედავად იმისა, რომ / სრულად / არ არის ინფორმაციული / შესაძლებლობას

(დ) ვინაიდან / სრულად ვერ / მაინც ინფორმაციულია / შესაძლებლობას არ

10. ერთნაირი ბუნებრივი პირობების, სოციალური წყობისა და მსოფლმხედველობის ნიადაგზე აღმოცენდა ეგვიპტური და შუამდინარეთის უძველესი კულტურათაშორისი მსგავსება. მაგრამ ეს მსგავსება ------ იმ ფარგლებს, რომლებსაც კულტურის თანაბარი დონე განსაზღვრავს. ------ ისე ------ , რომ ხელოვნების ------ ეგვიპტურსა და შუამდინარეთის ძეგლებს.

(ა) სცილდება / უფრო მეტიც, ისინი / დამსგავსებიან ერთმანეთს / სულ მცირე მცოდნეც ადვილად განარჩევს ერთმანეთისგან

(ბ) არ სცილდება / პირიქით, მათ / აქვთ შემონახული თავიანთი ინდივიდუალობა / სულ მცირე მცოდნეც კი არასოდეს აურევს ერთმანეთში

(გ) სცილდება / მართლაც, მათ / აქვთ შემონახული თავიანთი ინდივიდუალობა / ნამდვილი ექსპერტიც ადვილად აურევს ერთმანეთში

(დ) არ სცილდება / მართლაც, ისინი / ჰარმონიულად შერწყმიან ერთმანეთს / ნამდვილი ექსპერტიც ადვილად განარჩევს ერთმანეთისგან

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

11. ეკა, ზურაბი, ლევანი, თეა, მაიკო და ვანიკო მეგობრები არიან. ყველა სხვადასხვა სიმაღლისაა. ამასთან, ცნობილია:

- მაიკო თეაზე მაღალია და ლევანზე დაბალია.
- ვანიკო ლევანზე მაღალია.
- ყველაზე დაბალი ბიჭია, ხოლო ყველაზე მაღალი – გოგო.

მოსწავლეებს სთხოვეს, სიმაღლის მიხედვით (დაბლიდან მაღლისკენ) ერთ მწკრივად დამდგარიყვნენ. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია წარმოდგენილი ეს მწკრივი?

(ა)	ვანიკო,	ეკა,	თეა,	მაიკო,	ლევანი,	ზურაბი.
(ბ)	ზურაბი,	თეა,	მაიკო,	ვანიკო,	ლევანი,	ეკა.
(გ)	ზურაბი,	თეა,	მაიკო,	ლევანი,	ვანიკო,	ეკა.
(დ)	ვანიკო,	ეკა,	თეა,	მაიკო,	ზურაბი,	ლევანი.
(ე)	თეა,	ზურაბი,	მაიკო,	ლევანი,	ვანიკო,	ეკა.

12. უკვე ანტიკური დროიდან მეცნიერებს აინტერესებდათ, თუ რა აიძულებს ზოგიერთი სახეობის ფრინველებს შორეულ ქვეყნებში გადაფრენას – გადაფრენის დროს ხომ მრავალი მათგანი გზაში იღუპება. მეცნიერთა აზრით, ამის მიზეზია ის, რომ **გადამფრენი ფრინველებისთვის, სხეულის შედარებით მცირე ზომის გამო, ძნელია სხეულის მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნება ზამთრის ყინვების პირობებში**.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელმა ფაქტმა შეიძლება **<u>დააყენოს ეჭვქვეშ</u>** ეს ვარაუდი?*

(ა) დიდი ხნის წინათ ფრინველები მხოლოდ ერთ ადგილას ბინადრობდნენ და მხოლოდ კლიმატის თანდათანობით ცვლილებასთან ერთად დაიწყეს მიგრირება სხვა რეგიონებში.

(ბ) ერთ ადგილას მობინადრე ფრინველთა მრავალი სახეობა რეგულარულად მიგრირებს თავისი გავრცელების არეალის სხვადასხვა ნაწილში, ხოლო გადამფრენ ფრინველთა სახეობები ზოგიერთ რეგიონში მუდმივად ერთ ადგილას ბინადრობენ.

(გ) შემოდგომაზე ფრინველები დიდხანს ემზადებიან გადაფრენისთვის, ფრენისას ხშირად ისვენებენ, გამოსაკვებად ჩერდებიან და მხოლოდ მკვეთრი აცივება, წამოსული თოვლი აიძულებს მათ, იჩქარონ.

(დ) გადამფრენი ფრინველების მარშრუტზე გავლენას ახდენს იმ ტერიტორიის ტიპი, რომლის თავზეც ისინი მიფრინავენ.

(ე) გადამფრენი ფრინველები რჩებიან თავიანთი ბუდობის ადგილას, თუ წლის განმავლობაში მათ საკმარისი საკვები აქვთ.

13. თინა და ბესო საუბრობენ:

თინა: ზეგ მათემატიკაში საკონტროლო წერა გვექნება.

ბესო: რატომ ფიქრობ ასე?

თინა: თუ ხვალ ფიზიკაში ვწერთ საკონტროლოს, მაშინ გეოგრაფიაშიც ხვალვე დაგვაწერინებენ.

ბესო: მაგრამ ხომ შეიძლება, ხვალ ფიზიკაშიც ვწეროთ საკონტროლო და გეოგრაფიაშიც, ზეგ კი მათემატიკაში საკონტროლო მაინც არ დავწეროთ?

თინა: არა, რადგან თუ ზეგ მათემატიკაში არ დაგვაწერინებენ, მაშინ არც ხვალ დაგვაწერინებენ გეოგრაფიაში საკონტროლოს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მტკიცება უნდა დაამატოს თინამ, რათა მისი არგუმენტაცია დამარწმუნებელი იყოს?

(ა) ხვალ ფიზიკაში ნამდვილად ვწერთ საკონტროლოს.

(ბ) ხვალ ფიზიკაში ნამდვილად არ ვწერთ საკონტროლოს.

(გ) ხვალ გეოგრაფიაში ნამდვილად არ ვწერთ საკონტროლოს.

(დ) ხვალ ან ფიზიკაში, ან გეოგრაფიაში, ან არც ერთში არ ვწერთ საკონტროლოს.

(ე) ხვალ ნამდვილად არ ვწერთ საკონტროლოს არც გეოგრაფიაში და არც ფიზიკაში.

14. კვადრატული მოედნის კუთხეებში ოთხი სხვადასხვა შენობა დგას. ერთ-ერთ მათგანში განთავსებულია ბანკი, ერთ-ერთში – თეატრი, ერთში – სუპერმარკეტი და ერთშიც – აფთიაქი. ცნობილია:

- ბანკის შენობა აფთიაქის შენობაზე უფრო დაბალია.
- სუპერმარკეტის შენობა თეატრის შენობაზე უფრო მაღალია.
- ბანკი ყველაზე დაბალი შენობის მიმართ დიაგონალურად დგას.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შენობების შესაძლო დალაგება სიმაღლის მიხედვით (1 – ყველაზე მაღალი, 4 – ყველაზე დაბალი)?

	1	2	3	4
(ა)	ბანკი	სუპერმარკეტი	აფთიაქი	თეატრი
(ბ)	აფთიაქი	სუპერმარკეტი	თეატრი	ბანკი
(გ)	სუპერმარკეტი	აფთიაქი	თეატრი	ბანკი
(დ)	სუპერმარკეტი	აფთიაქი	ბანკი	თეატრი
(ე)	სუპერმარკეტი	თეატრი	ბანკი	აფთიაქი

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i „ვაღიარებ, რომ ბუნებრივი გადარჩევის გზით ისეთი სასწაულის წარმოშობა, როგორიც არის თვალი, უდიდესი აბსურდი უნდა იყოს“, – წერდა ჩარლზ დარვინი, რომლის მოწინააღმდეგენიც ამ წინადადების ციტირებისას აქ სვამენ ხოლმე წერტილს, და იქმნება შთაბეჭდილება, რომ დარვინს ეჭვი შეაქვს საკუთარ მოძღვრებაში. თუმცა, ის იქვე აგრძელებს: „საღი აზრი კი მკარნახობს: თუ არსებობს გრადაციები უამრავი ტიპის თვალებს შორის (მარტივიდან დაწყებული სრულყოფილით დასრულებული), და თუ ისინი სჭირდებათ თავიანთ მფლობელებს, მაშინ, რამდენადაც დაუჯერებელი უნდა გვეჩვენოს, ეს ყოველივე ბუნებრივი გადარჩევის შედეგი იქნება“.

ii მარტივი თვალი არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ გარდამავალი ეტაპი რთული სტრუქტურის ფორმირების გზაზე. თვალის ევოლუციაზე წარმოდგენის შესაქმნელად ცხოველთა მთელ სპექტრს უნდა გადავხედოთ – დაწყებული ჭიაყელას პრიმიტიული, სინათლის მიმართ მგრძნობიარე ლაქებიდან, დამთავრებული არწივის უმახვილესი ფოტოგრაფიული მხედველობით. თვალები პატრონის მოთხოვნილებებზეა მორგებული. ზღვის ვარსკვლავას თვალები ვერ აღიქვამს ფერებს, დეტალებს ან სწრაფად მოძრავ არსებებს; ასეთი თვალებით არწივი ხეს შეასკდებოდა. მეორე მხრივ, ზღვის ვარსკვლავა ხომ არ ცდილობს კურდღლის დაჭერას? მან მხოლოდ მარჯნის რიფები უნდა შეამჩნიოს. ამისთვის კი მისი თვალები საკმარისია და მათ მეტი დახვეწა არ სჭირდებათ. სრული ევოლუციური აბსურდი იქნებოდა, ზღვის ვარსკვლავას არწივის მხედველობა რომ განვითარებოდა.

iii რეპტილიების უმრავლესობა ფერებს ოთხი ტიპის კოლბებით* აღიქვამდა. მაგრამ ძუძუმწოვრების წინაპრებმა, რომლებიც რეპტილიებისგან განვითარდნენ და, ძირითადად, ღამით იყვნენ აქტიურნი, ამ კოლბებიდან ორი დაკარგეს, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ფერების გარჩევა ნაკლებად მნიშვნელოვანია ღამით, თანაც კოლბები ყველაზე ეფექტურია დღის სინათლეზე. თუმცა, ძველი სამყაროს პრიმატებმა

---

* კოლბები – თვალის სპეციალური, ფერის შემგრძნები ნერვული უჯრედები.

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16 17 18 19 20

ნაწილობრივ აინაზღაურეს ეს დანაკარგი: ფოთლისა და ნაყოფის, ასევე, მკვახე და მწიფე ნაყოფის ერთმანეთისგან გასარჩევად მათ ხელახლა განუვითარდათ წითელი ფერის მიმართ მგრძნობიარე კოლბები. სხვა გზით წავიდნენ ზღვის ძუძუმწოვრები (მაგალითად, ვეშაპები): მათ მოშორდათ ლურჯი ფერის აღმქმელი ფოტორეცეპტორები, როდესაც წყლის ბინადრები გახდნენ. ისინი ჩხირის** ტიპის რეცეპტორებით სუსტ სინათლესაც კი აღიქვამენ, რაც მნიშვნელოვანია სიღრმეებში მხედველობისთვის.

iv ზოგჯერ ევოლუცია 180 გრადუსით შემობრუნდება ხოლმე. თუ მხედველობის საჭიროებები ნულამდე მცირდება, ზოგიერთი ცხოველი სრულიად კარგავს თვალებს. ამის მაგალითია მექსიკური ტეტრა. პლეისტოცენის ეპოქაში მტკნარი წყლის ეს პატარა თევზები ღრმა მღვიმეში დაცურავდნენ. მათი თვალები გამოუსადეგარი იყო სიბნელეში, ამიტომ შთამომავლები ჩამოყალიბდნენ მღვიმის ბრმა თევზების სხვადასხვა პოპულაციად – მოვარდისფრო-თეთრ არსებებად, რომლებსაც ახლა ოდნავ სხვა ფერის კანი აქვთ იმ ადგილას, სადაც ადრე თვალები ჰქონდათ.

v თვალების ფორმირებასა და შენარჩუნებას დიდი ენერგია სჭირდება. ამით აიხსნება ის, თუ რატომ არ აქვთ ცხოველებს იმაზე უკეთესი თვალები, ვიდრე სჭირდებათ, და რატომ კარგავენ მათ, როდესაც აღარ სჭირდებათ. გამოუსადეგარ სენსორულ სისტემაზე ენერგიის გაფლანგვა გადაშენების რეცეპტია.

** ჩხირები – თვალის სპეციალური, სინათლის შემგრძნები ნერვული უჯრედები.

შეკითხვებზე გადასვლა: 15 16 17 18 19 20

15. I აბზაცი იწყება და მთავრდება ჩარლზ დარვინის სიტყვებით. რა მიმართებაა ამ ციტატებს შორის?

(ა) დარვინი ამ წინადადებებში სრულიად განსხვავებულ საკითხებზე მსჯელობს, თუმცა, ორივე საკითხს უკავშირებს ბუნებრივი გადარჩევის თეორიას.

(ბ) პირველ წინადადებაში თავად დარვინი აყენებს ეჭვქვეშ მოსაზრებას ბუნებრივი გადარჩევის გზით თვალის წარმოშობის შესახებ, მეორეში კი – მისი მოწინააღმდეგეები.

(გ) პირველ წინადადებაში გამოთქმული აზრი ერთი შეხედვითაა აბსურდული, რეალურად კი ის იმეორებს მეორე წინადადებაში გამოთქმულ დარვინისეულ ვარაუდს თვალის წარმოშობის შესახებ.

(დ) პირველ წინადადებაში გამოთქმულ მოსაზრებას დარვინი უპირისპირებს ევოლუციის თეორიაზე დაფუძნებულ ვარაუდს თვალის წარმოშობის შესახებ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

16. რა იგულისხმება გამოთქმაში – „ევოლუციური აბსურდი იქნებოდა“?

(ა) ევოლუციური თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნებოდა, ზღვის ვარსკვლავას რომ იმაზე უკეთესი მხედველობა ჰქონოდა, ვიდრე ეს მას სჭირდება.

(ბ) ევოლუციის კულმინაცია იქნებოდა, ზღვის ვარსკვლავას რომ არწივის მხედველობა განვითარებოდა, მაშინ ის ფერებსაც დაინახავდა და სწრაფად მოძრავ არსებებსაც შეამჩნევდა.

(გ) ევოლუციური სასწაული იქნებოდა ის, რომ ჭიაყელას პრიმიტიული, სინათლის მგრძნობიარე ლაქები ჰქონოდა თვალების ნაცვლად, არწივს კი – ფოტოგრაფიული მხედველობა.

(დ) ევოლუციის ხარვეზი იქნებოდა ის, რომ ზღვის ვარსკვლავას არწივის მხედველობა არ ჰქონოდა, ჭიაყელას კი პრიმიტიული, სინათლის მგრძნობიარე ლაქები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

17. სხვადასხვა ტიპის ძუძუმწოვრებში თვალის ნერვული უჯრედების – ფოტორეცეპტორების – განვითარების პროცესი სხვადასხვაგვარად წარიმართა, რადგან:

(ა) ძუძუმწოვრები ღამით უფრო აქტიურები იყვნენ და მათ არ განუვითარდათ ფერების აღმქმელი არც ერთი რეცეპტორი, ზღვის ძუძუმწოვრები კი მხოლოდ ლურჯ ფერს ვერ ხედავდნენ.

(ბ) საჭიროებების ცვლილების პარალელურად იცვლება მხედველობაც: გარემოსთან ადაპტირებისას პრიმატებს წითელი ფერის დანახვა ესაჭიროებოდათ, ზღვის ძუძუმწოვრებს კი – სიღრმეში სინათლის აღქმა.

(გ) პრიმატებს სინათლის შემგრძნები ჩხირები დასჭირდათ, ზღვის ძუძუმწოვრებს კი – ფერის შემგრძნები კოლბები წყალმცენარეების გასარჩევად.

(დ) პრიმატებს მკვახე და მწიფე ნაყოფის გარჩევა დასჭირდათ და, შესაბამისად, ჩხირის ტიპის რეცეპტორები განუვითარდათ, იმ ძუძუმწოვრებმა კი, რომლებიც ზღვას დაუბრუნდნენ, ფერის აღმქმელი ფოტორეცეპტორები დაკარგეს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

18. მღვიმის თევზების მაგალითი ამყარებს შემდეგ მოსაზრებას:

(ა) როცა ევოლუცია 180 გრადუსით შემობრუნდება, ცხოველები სხვადასხვა პოპულაციად ყალიბდებიან.

(ბ) თუ რომელიმე ცხოველი თვალებს კარგავს, მათ ნაცვლად სინათლის აღმქმელი ლაქები ჩნდება.

(გ) თვალები მათი მფლობელის მოთხოვნილებებზეა მორგებული.

(დ) თვალები შეიძლება შეიცვალოს საჭიროების მიხედვით, მაგრამ მინიმალურ ფუნქციას მაინც ინარჩუნებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

19. როგორც ცნობილია, მედუზა Tripedalia cystophora-ს ორი ტიპის ლინზებიანი თვალები აქვს – ზედა და ქვედა. ქვედა ლინზებიანი თვალებით მედუზა მოახლოებულ დაბრკოლებებს ამჩნევს, მაგალითად, მანგროს ფესვებს, რომელთა შორისაც დაცურავს. ზედა თვალი ყოველთვის ზევით იყურება, მაშინაც კი, როდესაც მედუზა თავქვე მიცურავს. თუ ეს თვალი მუქ ლაქებს აფიქსირებს, მედუზა გრძნობს, რომ ის მანგროს ჩარდახის ქვეშ დაცურავს. თუ მხოლოდ კაშკაშა სინათლეს ხედავს, მაშინ გრძნობს, რომ ღია წყლებში ჩაკარგულა და შიმშილი ელის.

ტექსტში აღწერილი ცხოველებიდან რომელს ჰგავს მედუზა მხედველობის თვალსაზრისით ყველაზე მეტად?

(ა) მექსიკურ ტეტრას, რადგან მედუზა თითქმის ვერ ხედავს, მხოლოდ სინათლეს აფიქსირებს.
(ბ) ზღვის ძუძუმწოვრებს, რადგან მედუზა მხოლოდ წყლის სიღრმეში ხედავს კარგად.
(გ) ჭიაყელას, რადგან მედუზასაც მხოლოდ სინათლის შემგრძნები ლაქები აქვს თვალების ნაცვლად.
(დ) ზღვის ვარსკვლავას, რადგან მედუზასაც თვალები მხოლოდ ზღვის სივრცეში საორიენტაციოდ სჭირდება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

20. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოხატავს ამ ტექსტის ძირითად იდეას?

(ა) მარტივი თუ რთული თვალის ევოლუციაზე წარმოდგენის შესაქმნელად ცხოველთა მთელ სპექტრს უნდა გადავხედოთ.

(ბ) დარვინის მოწინააღმდეგენი შერჩევით იყენებდნენ ევოლუციური მოძღვრების ავტორის გამონათქვამებს თვალების შესახებ და საკუთარ მიზნებს უსადაგებდნენ მათ.

(გ) თვალები ევოლუციის შემოქმედებითობის და, ამავე დროს, მისი მკაცრი ეკონომიურობის დასტურია.

(დ) ენერგიის დახარჯვა ფუნქციადაკარგულ სენსორულ სისტემაზე ცოცხალი ორგანიზმების გადაშენებას განაპირობებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

21. <u>მიეგება : მიაგება</u>

(ა) ეახლა : მიჰგვარა

(ბ) მიესალმა : გამოასალმა

(გ) გაუძღვა : უწინამძღვრა

(დ) მიუსწრო : მიასწრო

(ე) მიუახლოვდა : დაუახლოვდა

22. <u>არენა : საცირკო წარმოდგენა</u>

(ა) სანგარი : ფრონტი

(ბ) კარავი : ლაშქრობა

(გ) ეპიცენტრი : მიწისძვრა

(დ) ფინიში : მარათონი

(ე) ფოკუსი : ფოტოსეანსი

23. <u>**სასწორი : მართლმსაჯულება**</u>

(ა) სიგნალი : ინფორმაციის გადაცემა

(ბ) კვარცხლბეკი : დაჯილდოება

(გ) სკალა : სიდიდის განსაზღვრა

(დ) სეგმენტი : წრის ნაწილი

(ე) სკიპტრა : ძალაუფლება

24. <u>კრებული : ტრილოგია</u>

(ა) გუნდი : ტრიო

(ბ) კვარტალი : ტრიმესტრი

(გ) სამეული : ტრიადა

(დ) სიმრავლე : ტრილიონი

(ე) ფინალი : ტრიუმფი

25. <u>იატაკქვეშეთი : ლეგალური</u>

(ა) ალპური ზონა : მაღალმთიანი

(ბ) ეკვატორი : წარმოსახვითი

(გ) სუბტროპიკები : თბილი

(დ) ჯუნგლები : მეჩხერი

(ე) უდაბნო : უკაცრიელი

26. <u>ფესტივალი : ოლიმპიური თამაშები</u>

(ა) გასტროლი : სპექტაკლი

(ბ) ანტრაქტი : ტაიმაუტი

(გ) პრემიერა : იუბილე

(დ) ჩემპიონატი : მატჩი

(ე) ბენეფისი : ამპლუა

წინადადებების შევსება

მოცემულია წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველი ვარიანტი შეიცავს სიტყვათა ჯგუფს, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

27. პასუხისმგებლობის მაღალი დონე ------ გულისხმობს მაღალ ანაზღაურებას. ------ , საპასუხისმგებლო პროფესია, ანაზღაურების ------ ხდება ხოლმე მამოტივირებელი ადამიანებისათვის. ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ პასუხისმგებლობის აღება იმთავითვე ------ .

(ა) ყოველთვის / მიუხედავად ამისა / გათვალისწინებით / მაღალ თვითშეფასებასთან, პატივისცემასა და მიღწევის განცდასთან ასოცირდება

(ბ) ყოველთვის როდი / როგორც წესი / მიუხედავად / მაღალ თვითშეფასებასთან, პატივისცემასა და მიღწევის განცდასთან ასოცირდება

(გ) ყოველთვის როდი / სწორედ ამიტომ / გათვალისწინების გარეშე / მაღალ რისკთან და საფრთხის განცდასთან ასოცირდება

(დ) ყოველთვის / შესაბამისად / მიუხედავად / მაღალ რისკთან და საფრთხის განცდასთან ასოცირდება

28. პოზიტივიზმის ზოგადი დოქტრინის მიხედვით, ჭეშმარიტი ცოდნა სენსორულ გამოცდილებას ეყრდნობა. ის ობიექტური და ხელშესახებია. ------ , მხოლოდ დაკვირვებისა და ექსპერიმენტის მეშვეობით ------ ამ ცოდნის გაზრდა. ------ , პოზიტივისტური მიდგომა ------ წარმატებულია ადამიანის ქცევის შესწავლაში, რადგანაც ადამიანის ბუნების ------ ბუნებრივი სამყაროს წესრიგსა და კანონზომიერებას.

(ა) შესაბამისად / როდია შესაძლებელი / მიუხედავად ამისა / ნაკლებად / სიმარტივე და სოციალური ფენომენების თვალსაჩინო ხასიათი სრულიად შეესაბამება

(ბ) მიუხედავად ამისა / არის შესაძლებელი / აღნიშნულის გათვალისწინებით / მეტად / განუზომელი სირთულე და სოციალური ფენომენების კომპლექსურობა არ ჰგავს

(გ) მიუხედავად ამისა / როდია შესაძლებელი / აღნიშნულის გამო / ნაკლებად / სიმარტივე და სოციალური ფენომენების თვალსაჩინო ხასიათი სრულიად შეესაბამება

(დ) შესაბამისად / არის შესაძლებელი / ამის გამო / ნაკლებად / განუზომელი სირთულე და სოციალური ფენომენების კომპლექსურობა არ ჰგავს

29. ომის დროს დანგრეული ქალაქები და ქვეყნები ------ თავიანთ კეთილდღეობას, თუკი მათ ------ სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნა. ------ , იმ შემთხვევაში, თუ განვითარებული სოციალური ინტელექტის მქონე ინდივიდთა ჯგუფი დაკარგავს სოციალურ მეხსიერებას, არ ემახსოვრება ტრადიციები, ჩვევები და სხვა სოციალური ნორმები, სოციალური ინტელექტის ------ ის ------ წესებს.

(ა) სწრაფად აღადგენენ / შენარჩუნებული აქვთ / ამ ვითარებისგან განსხვავებით / წყალობით / ხელახლა შეიმუშავებს ადამიანთა თანაცხოვრების

(ბ) ძნელად თუ აღადგენენ / არ ექნებათ შენარჩუნებული / ამის ანალოგიურად / შენარჩუნების მიუხედავად / ვეღარ აღადგენს ადამიანთა თანაცხოვრების უწინდელ

(გ) სწრაფად აღადგენენ / შენარჩუნებული აქვთ / ამის მსგავსად / წყალობით / ხელახლა შეიმუშავებს ადამიანთა თანაცხოვრების

(დ) ძნელად თუ აღადგენენ / არ ექნებათ შენარჩუნებული / ამ ვითარების საწინააღმდეგოდ / შენარჩუნების მიუხედავად / მაინც აღადგენს ადამიანთა თანაცხოვრების უწინდელ

30. ჯონ სტიუარტ მილი წერდა: „საფრთხე, რომელიც ევროპულ ერებს ემუქრება, ------ . ევროპაში ------ გამორჩეულობა, ------ იმ პირობით, რომ ------ . ევროპამ უარი თქვა წინაპრების კოსტიუმებზე; მართალია, ყველა ------ ჩაიცვას, მაგრამ მოდა შეიძლება ------ შეიცვალოს“.

(ა) არ არის უძრაობა / იკრძალება / მაგრამ არ გამოირიცხება ცვლილება, ოღონდ / ყველა ერთად შეიცვლება / ისევ ვალდებულია, სხვების მსგავსად / წელიწადში ერთხელ ან ორჯერ

(ბ) უძრაობაა / არ იკრძალება / ცვლილება კი დასაშვებია მხოლოდ / ის შეუმჩნევლად მოხდება / ცდილობს, ძველებურად არ / წლების განმავლობაში

(გ) მუდმივი ცვლილებაა / ფასობს / კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ცვლილება, თუნდაც / გამორჩეულობა შემცირდება / ისევ ცდილობს, ძველებურად / წლების განმავლობაში არ

(დ) მუდმივი უცვლელობაა / არ ფასობს / კიდევ უფრო მიუღებელია ცვლილება, თუნდაც / ის განსხვავებებს შეამცირებს / ვალდებულია, სხვების მსგავსად არ / წელიწადში ერთხელ ან ორჯერ

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

31. მოცემულია დებულებები:

- ყველა მაღალმთიან დასახლებას აქვს დიდი ტურისტული პოტენციალი.
- არც ერთ მაღალმთიან დასახლებას არ აქვს დიდი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>გამომდინარეობს</u>** მოცემული დებულებებიდან?*

(ა) თუ A დასახლებას დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს, მაშინ ის მაღალმთიანია.

(ბ) თუ A დასახლებას დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს, მაშინ მას არ აქვს დიდი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი.

(გ) თუ A დასახლებას დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს, მაშინ მას შეიძლება არ ჰქონდეს დიდი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი.

(დ) თუ A დასახლებას დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს, მაშინ მას დიდი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალიც ექნება.

(ე) თუ A დასახლებას დიდი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი აქვს, მაშინ მას არ ექნება დიდი ტურისტული პოტენციალი.

32. მოცემულია დებულებები:

I. ზოგიერთ ქალაქში არ არსებობს მეტრო.

II. დიდი ქალაქების უმრავლესობაში არსებობს მეტრო.

III. ყველა ქალაქში, რომელშიც არსებობს მეტრო, არსებობს მიწისქვეშა გადასასვლელებიც.

IV. ყველა ქალაქში, რომელშიც არსებობს მიწისქვეშა გადასასვლელები, არსებობს ქუჩის მხატვრობის საინტერესო ნიმუშებიც.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **აუცილებლად ჭეშმარიტი**, თუ ეს დებულებები ჭეშმარიტია?*

(ა) ზოგიერთ პატარა ქალაქში არსებობს მიწისქვეშა გადასასვლელები.

(ბ) ზოგიერთ დიდ ქალაქში არ არსებობს მიწისქვეშა გადასასვლელები.

(გ) ზოგიერთ ქალაქში არსებობს ქუჩის მხატვრობის საინტერესო ნიმუშები.

(დ) ზოგიერთ ქალაქში არ არსებობს ქუჩის მხატვრობის საინტერესო ნიმუშები.

(ე) ზოგიერთ პატარა ქალაქში არ არსებობს მიწისქვეშა გადასასვლელები.

33. ერთ-ერთ ორგანიზაციაში შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის დანერგვამდე გამოიკვლიეს თანამშრომელთა წინასწარი განწყობა ამგვარი სისტემის მიმართ. კვლევამ აჩვენა, რომ თანამშრომლებს, ძირითადად, სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდათ შეფასებისადმი. მკვლევრების აზრით, ეს განპირობებული იყო იმით, რომ **თანამშრომლები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები შეფასების სისტემის შესახებ.**

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **განამტკიცებს** მკვლევართა მოსაზრებას?*

(ა) კვლევამ აჩვენა, რომ შეფასების სისტემის მიმართ დამოკიდებულება მით უფრო უარყოფითია, რაც უფრო დაბალია ახალი გამოცდილების მიმართ ღიაობის, სიახლისადმი მზაობის მაჩვენებელი.

(ბ) ნებისმიერი სახის შეფასება წარმოადგენს ერთგვარ მუქარას ადამიანის თვითშეფასებისთვის – ადამიანის მიერ საკუთარი თვისებებისა თუ უნარების შეფასება ყოველთვის სუბიექტურია და განსხვავდება რეალობისგან, სხვათა შეფასებებისგან.

(გ) ორგანიზაციის მენეჯერები მართვის პროცესში ნაკლებად არიან ორიენტირებულნი თანამშრომელთა წახალისებაზე. ამიტომ თანამშრომელთა უმრავლესობა მენეჯმენტისგან არ მოელის სამუშაოს შეფასების შედეგებზე პოზიტიურ რეაგირებას.

(დ) კვლევამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის თანამშრომელთა გარკვეული (სოციალურად აქტიური) ჯგუფის დამოკიდებულება ამა თუ იმ ინოვაციის მიმართ დანარჩენ თანამშრომლებსაც ადვილად გადაეცემა.

(ე) შეფასების სისტემის მიმართ პოზიტიურად განწყობილ თანამშრომლებს ჰქონდათ სხვა დაწესებულებებში მუშაობის გამოცდილება, რომლებშიც ამგვარი სისტემა იყო დანერგილი.

34. მოცემულია მსჯელობა: არც ერთი მარადმწვანე მცენარე არ არის ფოთოლმცვენი; ჩემს ეზოში ზოგიერთი მცენარე არ არის ფოთოლმცვენი. მაშასადამე, ჩემს ეზოში ზოგიერთი მცენარე მარადმწვანეა.

*ქვემოთ მოცემული დიაგრამებიდან რომელი აჩვენებს, რომ ეს მსჯელობა **<u>არ არის სწორი</u>** (რომ დანასკვი **<u>არ გამომდინარეობს</u>** წანამძღვრებიდან)?*

I.



II.



III.



IV.



(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ III
(დ) მხოლოდ II და III
(ე) მხოლოდ III და IV

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

i მე-16 საუკუნის დასაწყისისთვის საფრანგეთს გამორჩეული ადგილი ეკავა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის თავისი ტერიტორიის სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობით. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ქალაქების მნიშვნელოვანი განვითარება, არსებითად შეიცვალა ქალაქის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა, ისევე, როგორც ქალაქის არქიტექტურა და მისი დაგეგმარება. საფრანგეთში ფეხი მოიკიდა აღორძინების პერიოდის არქიტექტურამ, რომელიც იტალიაში საუკუნით უფრო ადრე გაჩნდა.

ii ფრანსუა I-ის (1515-1547) ლაშქრობებმა იტალიაში საფრანგეთის არისტოკრატიას გააცნო იტალიური ხუროთმოძღვრება და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იტალიური ხელოვნების შეღწევას საფრანგეთში. მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილი იტალიური ხელოვნება მთელ ევროპაში პრესტიჟულად ითვლებოდა. ამან განაპირობა ის, რომ საფრანგეთის კულტურა მე-16 საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში მისი მიღწევებითა და გამოცდილებით საზრდოობდა. თუმცა, ფრანგულ ხელოვნებას, რომელმაც წარსულიდან მემკვიდრეობით მიიღო ადგილობრივი, საუკუნეებით გამოცდილი ტრადიციები, მე-16 საუკუნეშიც არ დაუკარგავს თავისი ეროვნული ნიშნები და იტალიური ხელოვნების გავლენამ მხოლოდ დააჩქარა ფრანგული ხელოვნების განვითარება ისე, რომ არ დამუქრებია მის თვითმყოფადობას.

iii ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გავიხსენოთ გოთიკური არქიტექტურა, რომლის სამშობლოდ საფრანგეთი ითვლება. გოთიკური სტილის ტაძრები საფრანგეთში ასი წლით უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში. პირველი გოთიკური ტაძარი 1130-1150 წლებში ილ დე ფრანსში აიგო და, შესაბამისად, ამ სტილს მაშინ „ფრანგული წარმოშობის ხელოვნებად“ მოიხსენიებდნენ, მოგვიანებით კი მას „გოთიკური“ ეწოდა. თავდაპირველად ამ სახელს დამაკნინებელი კონოტაცია (ელფერი) ჰქონდა, რადგან „გოთიკურ“ ხელოვნებას გუთების, ანუ ბარბაროსების ხელოვნებად მიიჩნევდნენ, რომლებმაც თითქოსდა

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40

დაივიწყეს რომაული ტექნიკა და წესები. სინამდვილეში კი ეს იყო რომაული ბაზილიკის სახეცვლილი ფორმა.

iv მე-17 საუკუნესა და მე-18 საუკუნის დასაწყისში ფრანგულმა ქალაქთმშენებლობის ხელოვნებამ განვითარების ზენიტს მიაღწია. პარიზსა და სხვა მსხვილ ქალაქებში შენდება მეფის სასახლეები, სახელმწიფო დაწესებულებები, ქვეყნის საზღვრების გასწვრივ აგებენ ახალ ციხესიმაგრეებს. სწორედ ამ პერიოდში იწყება ქალაქების დეკორატიულ გამწვანებაზე ზრუნვა. მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს პარიზის მახლობლად აშენდა მეფის ახალი რეზიდენცია – ვერსალი. ცნობილმა ფერმწერმა და მებაღემ, ანდრე ლენოტრმა, სასახლის ირგვლივ უნიკალური პარკი გააშენა. მისმა ორიგინალურმა მიდგომებმა გავლენა იქონია, საზოგადოდ, ქალაქგეგმარების ხელოვნებაზე. ვერსალის პარკს განიხილავენ ქალაქთმშენებლობის ახალი მეთოდების მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ლაბორატორიად.

v 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუცია მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა საფრანგეთის ქალაქთმშენებლობის თვალსაზრისით. ამ დროისთვის დაიწყო სოფლის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია ქალაქებში, სტიქიური განაშენიანების ზრდა და, შედეგად, ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. ტრანსპორტის მზარდმა რაოდენობამ დამატებითი პრობლემები შექმნა ქალაქში ჰაერის დაბინძურებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით. სიტუაციის გამოსასწორებლად პარიზელმა მხატვრებმა წამოიწყეს პარიზის კეთილმოწყობის პირველი შემოქმედებითი პროექტი სახელწოდებით „მხატვრების კომისიის გეგმა“, რომლის მიზანი იყო პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება – ქალაქში მოძრაობის გაუმჯობესება, სანიტარიულ-ჰიგიენური დონის ამაღლება და ა. შ. ის ითვალისწინებდა პარიზის დიდი და ყველაზე ჩამორჩენილი ცენტრალური უბნების ძირეულ გარდაქმნას. პროექტის რეალიზაციას, მისი მასშტაბურობის გამო, მხოლოდ მე-19 საუკუნეში შეუდგნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მან დიდი გავლენა იქონია მთელ დასავლეთევროპულ ქალაქთმშენებლობაზე.

შეკითხვებზე გადასვლა: 35 36 37 38 39 40

35. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გადმოგვცემს ყველაზე ზუსტად პირველი აბზაცის დანიშნულებას?

I აბზაცში:

(ა) მოცემულია ერთგვარი ისტორიული ექსკურსი საკითხში, რომელიც დანარჩენ აბზაცებშია განხილული.

(ბ) მოკლედაა მიმოხილული ქალაქების წარმოქმნის ისტორიული წანამძღვრები.

(გ) წარმოდგენილია მოკლე ექსკურსი შუა საუკუნეების საფრანგეთის ისტორიაში.

(დ) განხილულია იმ პრობლემის დაძლევის გზები, რომელსაც ეხება ტექსტი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე]

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე]

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

36. ავტორი III აბზაცს იწყებს სიტყვებით „ამ კონტექსტში ...“ , რათა:

(ა) გაამახვილოს მკითხველის ყურადღება იმ ფაქტზე, რომ საფრანგეთის ხუროთმოძღვრება სათავეს იტალიურიდან იღებდა.

(ბ) დაადასტუროს აზრი, რომ საფრანგეთის არქიტექტურა ინარჩუნებდა თვითმყოფადობას და რომაულთან კავშირში ქმნიდა თავის ორიგინალურ სტილს.

(გ) დაგვანახოს, რომ ამ პერიოდის საფრანგეთის ხუროთმოძღვრებაში რომაული სტილის კვალი უკვე ძნელად იკითხებოდა.

(დ) ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის არქიტექტურულმა სტილმა უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ ევროპულ ხუროთმოძღვრებაზე.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40

37. რატომ დაერქვა საფრანგეთში აღმოცენებულ ხუროთმოძღვრულ სტილს გოთიკური?

(ა) რადგან ამ სტილის ნაგებობები ზედმეტი სისადავით გამოირჩეოდა და ნაკლებად შთამბეჭდავი იყო.

